იუელი

ერთმოქმედებიანი დრამა ერთი მსახიობისათვის

1901 წლის 5 ივნისი
თბილისში მდებარე გრანდ-ოტელის ერთ-ერთი სასტუმროს ნომერი.
აზიურ სტილშია გაწყობილი.
დეკორაცია მწირი (საწოლი, მაგიდა ჩაიდნით, ჩაის ჭიქითა და ხილით)
შემოდის ქალი თხელ და გრძელ აბრეშუმის საღამურში.

დაგნი: ეს წიგნი ვერ დაიწერებოდა მამაჩემის, რობერტოს სიტყვების გარეშე. ერთხელ მითხრა: გახსოვდეს, რომ უნდა გახსოვდესო. ოცდაათი წელი დამჭირდა, რომ მივმხვდარიყავი, რა უნდა მხსომებოდა.

(მიდის მაგიდასთან. იღებს ხელში წერილს)

ეს წერილი ზენონს უნდა მისცენ 24 წლის როცა გახდება, მაგრამ ეჭვი მაქვს გამოძიება თავისთან დაიტოვებს.

(ხსნის კონვერტს და ხმამაღლა კითხულობს)

,,გაყენებ საშინელ, განუზომელ ბოროტებას. იქნებ ამან ცხოვრება დაგინგრიოს, მაგრამ... სხვანაირად არ შემეძლო....''

(დებს წერილს და მაყურებლებისაკენ ტრიალდება)

ვიმედოვნებ, ბოროტების მიმართ არაფერი გაქვთ საწინააღმდეგო. ჩემს თვალში ბოროტება სიბნელისა და უხამსობის წინააღმდეგ მიმართული იარაღია გონებისა. ბოროტება, კრიტიკის სულია, კრიტიკა კი, თავის მხრივ, პროგრესისა და განათლების საწყისი გახლავთ.... ზენონი კი ვერც ვერაფერს გაიგებს..... იმასაც ვერ მიხვდება მგონი რა უნდა ახსოვდეს და რა არა.... Sing mir das Lied vom Leben und vom Tode[1].... ჰოდა სწორედ ამ სიმღერას გიმღერებთ ახლა.... ზენონი კი ისე მოკვდება მაინც ვერ მიხვდა რა უნდა ახსოვდეს.... არადა ზენონი ხომ ზევსის საჩუქარს ნიშნავს..... ზენონი ჩემი პირველი საჩუქარი იყო.... ზევსის რა მოგახსენოთ

[1] გერმანული: მიმღერე სიმღერა სიცოცხლისა და სიკვდილის შესახებ.

და სტანისლავის..... სტანისლავი კი არც გედს ჰგავდა და არც ხარს.... ანუ ლოგიკურად სტანისლავი ზევსი არ ყოფილა....

(გადაიკისკისებს)

ლოგიკა ჩემი ძლიერი მხარე არასდროს ყოფილა, ამიტომ მთლად ნუ მენდობით... შეიძლება სტანისლავი ზევსიც ყოფილიყო..... მეცხრამეტე საუკუნის ზევსი..... თუ მისტერ ბლუმი იქნება მეოცე საუკუნის ოდისევსი, რატომ არ შეიძლება ჩემი ქმარი თანამედროვე ზევსი იყოს? გიკვირთ საიდან ვიცნობ მისტერ ბლუმს ?! მისტერ ბლუმი ჩემამდე ერთი წლით ადრე დაიბადა უნგრელი ებრაელის რუდოლფ ვირაგის ოჯახში, რომელმაც იუდაიზმი პროტესტანტიზმში გაცვალა და ბლუმად მოინათლა....

(ჩამოჯდება საწოლზე)

ჰო.... რას ვამბობდი ?

(თითქოს ფიქრობს)

ა, ჰო.... ლეოპოლდ.... ლეო... პოლდ.... პოლდი.... პოლიდზე ერთი ირლანდიელი დარტყმული დაწერს, რომელიც ჯერ კიდევ ირლანდიაშია და დუბლინის კოლეჯში სწავლობს, მაგრამ მალე გაიქცევა..... საიდან ვიცი? ჩვენ ყველანი გავრბივართ..... ყველანი..... ადამიდან დაწყებული, ოდისევსის გავლით და აქამომდე.... სად გავრბივართ და ვის გავურბივართ არავინ ვიცით.... ალბათ სახლს ვეძებთ იქ სადაც ჩვენი სახლი არაა.... საკუთარ არსებაში დავიარებით და ვხვდებით ყაჩაღებს, მოჩვენებებს, გოლიათებს, ბებრებს, ყმაწვილებს, ცოლებს, ქვრივებს, რაყიფ ძმებს. მაგრამ ისევ და ისევ, საკუთარ თავს ვხვდებით და ბოლოს ალბათ ბოლოს მხოლოდ რამდენიმე პოულობს თავის ითაკას.... ისე რა მაგის პასუხია და ოდისევსი ვიდრემდე დაუბრუნდა ითაკას, პენელოპემ მანამდე მგონი კიდეც იტაკა.....

(გადაიკისკისებს)

ისე რა მოხდა.... არც ოდისევსს დაუკლია ღალატი.... და დიდი ამბავი პენელოპემ თუ ვინმესთან გაიარა.... ისიც არასერიოზულად....

(ადგება საწოლიდან და მაგიდისაკენ მიდის. ჩაიდნიდან ჩაის ჩამოასხამს და აუდიტორიისაკენ მოტრიალდება)

კაცს ენა უსწრებს, საათს - ისარი. ისე ცნობისათვის მამაჩემს ჰანსი ერქვა. ჰანს ლემიხ იუელი. რობერტა ვიტას მამა იყო. და ვიტა ვინაა არ მკითხოთ. გონზე არა ვარ. დედაჩემი მომიყვა რაღაცას ბავშვობაში და იქიდან ჩამრჩა მეხსიერებაში ეტყობა ეს სიტყვები.

(გადაიკისკისებს და უცებვე დასერიოზულდება)

რას ვამბობდი ?! მამაჩემს ჰანსი ერქვა. ჰანს ლემიხ იუელი. ვინმე არ გეგონოთ. ცნობილი ექიმი იყო, დიდად დაფასებული და პატივცემული. თუმცა ხშირად ყვებოდა თუ როგორ უნდოდა ახალგაზრდობაში ცირკის აკრობატობა და დაუშალეს.... უთხრეს რომ მათ ოჯახს ეს არ ეკადრებოდა.... მთელი ბავშვობა შემდეგ იმას მიმეორებდა ,,რაც არა ხარ, რისი ძალაც არ შეგწევს და რაც არ გაგაჩნია დაგნი, სწორედ იმას შეჰყურებ ნაღველგარეული შურით, შურით, რომელიც სიყვარულად იქცევა იმის შიშით, რომ სიძულვილად არ იქცეს.'' ალბათ ვერასრულებულ ოცნებათა შედეგი იყო ის რომ არაფერს მიკრძალავდა, არც მუსიკას, არც მწერლობას, არც საყვარლებს და არც ბოჰემურ ცხოვრებას.... ეშინოდა მეც ისევე არ შემშურებოდა სხვების, როგორც თავად შურდა ცირკის აკრობატების.... ერთხელაც კი არ წამოსულა ჩვენთან ერთად ცირკში.... ტკიოდა.... იქ გულის სიღრმეში.... და რაოდენ ირონიულია, რომ მისი პროფესია სხვათათვის ტკივილის შემსუბუქებას ემსახურებოდა....

(ჩაის ფინჯანს დადგამს და თითქოს ფანჯრიდან გადაიხედავს)

ტიფლისი.... საუკუნის ბოლო.... ყველაზე გიჟური, ბოჰემური და კოსმოპოლიტური ქალაქი.... აზიისა და ევროპის გზაგასაყარზე... იდეოლოგიურ და კულტურულ გზაჯვარედინზე.... ტიფლისი ევროპასაც და აზიასაც თანაბრად მოუცავთ და იდუმალების ბურუსში გაუხვევიათ.... ემერიკი რომ არა აქ არც მოვხვდებოდი.... თუმც არც კი ვიცი აქ რა მინდა.... ალბათ ოდესმე მაგასაც მივხვდები....

(მოტრიალდება აუდიტორიისაკენ)

ისე წარმოიდგინეთ, რა უფანტაზიო უნდა იყო კაცი, რომ მეცხრამეტე საუკუნის ტიფლისზე ყველაზე მოსაწყენი და უმოქმედო რამ დაწერო.... ჰო, ბევრი წყალი ჩაივლის, ბევრი რამ მოხდება და საუკუნის შემდეგ დაწერენ რაღაც სისულელეს..... ამილახვარი და ორბელიანის პერსონაჟები გამოიგონო და გყავდეს და ასე უინტერესოდ განავითარო სიუჟეტი..... არადა რამდენი რამაა, აგერ ახლა ჩვენს

გარშემო, რეალური ამბავი..... საინტერესო..... დაძაბული..... მაგრამ არა.... მაინც და მაინც რაღაც ძალად პატრიოტული, ბევრი გინებით, ადამიანთა მკვლელობით და უაზრო ლაყბობით უნდა გააბანძონ..... ოხ, ეს კაცები..... ყველაფრის გაფუჭება რომ ეხერხებათ..... და თან ისე გიყურებენ თითქოს აქაო და რამით გჯობდნენ..... ჰო, მოვა დრო და მიხვდებიან რომ ქალებს წერა ეხერხებათ... ჰო, და ოდესმე იმასაც მიხვდებიან რომ ყველა კაცის უკან ვინც რამე შექმნა კაცობრიობაში ქალი იდგა.... თითქოს ჩუმად, მაგრამ ამავდროულად ხმაურიანად.... აპოლონის მუზებიც ხომ ქალები იყვნენ.... და მაინც როგორ უნდა მოახერხო ასე მოსაწყენად წარმოაჩინო ყველაზე ფერადი და მძვინვარე პერიოდი ტიფლისის ისტორიიდან?!

(მიბრუნდება მაგიდისაკენ, ჩაის ფინჯანს აიღებს და ლოგინზე ჩამოჯდება. მოწრუპავს ჩაის, თვალებს დახუჭავს, თითქოს რაღაცას წარმოიდგენსო და ასე ზის ცოტა ხანი. შემდეგ თითქოს გამოერკვევა. გაახელს თვალებს)

მრავალი წლის მერე აქ, გრანდ-ოტელის ადგილას, კაფეს გახსნიან..... ცოცხალი მუსიკითა და აზიური ინტერიერით..... ყველაზე პოპულარულ ქართული სამზარეულოს მარგალიტებს აიღებენ და სრულიად გადააკეთებენ..... ქართველთა ნაწილი ივიშვიშებს ქართველობას გვართმევენო..... ჰაჰაჰა.....

(გადაიკისკისებს)

შავჭარული.... შავი აჭარული მიდიებითა და ნაღების სოუსით..... და წართმეული ქართველობა..... ქართველობას და ევროპელობას რუსეთი წაგართმევთ საუკუნის დასაწყისში..... მოდერნიზებულ აჭარულს გაეშვით რა..... და ზედმეტ რამეებს ნუ აჰკიდებთ..... და საერთოდაც თუ ლიტერატურა, მუსიკა, მხატვრობა ვითარდება რატომ არ შეიძლება სამზარეულო განვითარდეს?! ოხ, ეს დამყაყებული კონსერვატორები..... მოდერნიზციას რომ ებრძვიან.... მაგათ რომ ჰკითხო მუნკმა ალბათ ნორვეგიელობა წაართვა ნორვეგიელებს და სტრინბერგმა კიდევ შვედობა.... და მე ხომ საერთოდ.... მე მაშინ ამოვიღე ხმა, როცა ქალები ჯერ კიდევ დუმდნენ..... მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს.... ისე ჩემამდეც იღებდა ერთი ორი ხმას..... თანაც საკმაოდ ძლიერად....

(ისევ თვალებს დახუჭავს, თითქოს რაღაცას წარმოიდგენსო და ასე ზის ცოტა ხანი. შემდეგ თითქოს გამოერკვევა. გაახელს თვალებს)

მარტო ტიფლისზე კი არა ჩემზეც დაწერენ.... ოღონდ ჯერ არა.... მრავალი წლის მერე... ახლა მხოლოდ და მხოლოდ სტრინბერგსა და მუნკს თუ შთავაგონებ.... და რა კარგია, რომ წლების შემდეგაც მოვახერხებ ვიღაცეებზე გავლენის მოხდენას.... ეს იმას ნიშნავს რომ ტყუილად არ მიცხოვრია და რაღაც მეც შემიქმნია.... ეჰ, ხანდახან მგონია რომ ადამიანი თოკია, გადაჭიმული მხეცსა და ზეკაცს შორის - თოკი უფსკრულის თავზე. სახიფათოა გადასვლა, სახიფათოა გზაში ყოფნა, სახიფათოა უკან მოხედვა, სახიფათოა შეკრთომა და გაჩერება. ადამიანის სიდიადე ისაა, რომ ის ხიდია და არა მიზანი: მასში ის შეიძლება გიყვარდეს, რაც გადასვლა და გადაჩეხვაა. სტინბერგისა და მუნიკასთვის მე გადაჩეხვა ვარ.... მაგრამ შეიძლება ოდესმე გადასასვლელიც აღმოვჩნდე.... გადასასვლელი მარადისობაში.... მათი პირადი ქარონი.... ქარონი რამ გამახსენა ამ მზიან დღეს?! მაგრამ ოგიუსტსა და ედუარდზე ფიქრი ყოველთვის მიფუჭებს ხასიათს.... პრინციპში არც ჩემს ქმარზე ფიქრი მაყენებს უკეთეს ხასიათზე.... წავლენ, წამოვლენ, გაიძახიან ,,ჩვენი მუზა ხარო....'' მინდა თუ არა მათი მუზობა ვინმე მეკითხება ?! არც არავინ.... არც ერთს არ წაუკითხავთ ჩემი არც ერთი პიესა.... არც ერთი ლექსი.... არადა მოდერნისტებად მოაქვთ თავი.... მოდერნისტები კი არა კაი კონსერვატორები არიან ეგენიც.... მოდერნიზმს მარტო თავიანთ ხელოვნებაში გამოხატავენ და აზროვნებით ქვის ხანაში არიან ჩარჩენილები....

(თითქოს აჯავრებს)

იიიი ქალებს წერა არ შეუძლიათ....
იიიი ქალებს მარტო მუზობა შეუძლიათ....
იიიი ქალი დეკორაციაა...
იიიი.....
ქალი.....

(ენას გამოყოფს)

,,ცოტაა ამქვეყნად ისეთი ქალი, რომლის ღირსებებიც მის სილამაზეს გადაწონის'' როცა უნდათ სულ ლაროშფუკო აკერიათ სამივეს პირზე და რაც კი რამ ჭკვიანური თქვა ამ კაცმა არასდროს ახსოვთ... არადა რომ დაფიქრებულიყვნენ მიხვდებოდნენ რომ ლაროშფუკო ყველაზე მეტს ჩემზე საუბრობდა.... მერე რა რომ ერთმანეთს რამდენიმე საუკუნით ავცდით....
ჩემი ქმარი ხშირად მეუბნებოდა ხოლმე ფრანსუას ამ სიტყვებს, როცა მორიგ ვოიაჟში მივდიოდი ,, გახსოვდეს დაგნი განშორება ასუსტებს წვრილმან ვნებებს და

აძლიერებს დიდ სიყვარულს, ისევე, როგორც ქარი აქრობს სანთელს და აღვივებს ცეცხლის ალს'', მაგრამ ფრანსუას ეს სიტყვები ჩვენს ურთიერთობას ვერას შველოდა.... სტანისლავს ალთას ჰყავდა საყვარლები, მე - ბალთას....
ოგიუსტი ხშირად მიმეორებდა ხოლმე ,,ჩემო დაგნი, ამ ქვეყნად ბევრია ისეთი ქალი, ერთხელაც რომ არ განუცდია მამაკაცის ალერსი და ძალზე ცოტაა ისეთი ქალი, მხოლოდ ერთი მამაკაცის სიყვარულს რომ დასჯერებოდეს''. შენ სწორედ ამ ბოლო კატეგორიას მიეკუთვნებიო, ჩაიქირქილებდა და კეხიან ცხვირზე მაკოცებდა ხოლმე.
ისე კაცმა რომ თქვას იმდენად ხშირად მიმეორებდნენ მუსიე ფრანსუას სიტყვებს, რომ ეგეც ჩემი დიდი ხნის საყვარელი მგონია ხოლმე.

(გადაიკისკისებს)

ედუარდს კი მხოლოდ ეს ფრაზა ხიბლავდა მუსიე ფრანსუას გამონათქვამებიდან ,,ადამიანი არასოდეს არც ისე ბედნიერია და არც ისე უბედური, როგორც წარმოუდგენია''....
და მაინც ახლა რომ ვფიქრობ მგონი ედუარდი ყველაზე უკეთ ხედავდა მე ვინ ვიყავი.... და იმასაც ყველაზე უკეთ აცნობიერებდა მე რას ვფიქროდი თუ ვგრძნობდი....
ისე დღევანდელი გადმოსახედიდან რომ ვუყურებ, ურიგოდ არ მიცხოვრია. განათლება ადგილობრივ კერძო სკოლაში მივიღე. ჩემს მასწავლებელთა შორის იყო ანა სტანგი, ნორვეგიული ფემინისტური მოძრაობის ერთ-ერთი პიონერი. 1882 წელს მუსიკის სასწავლებლად გერმანიაში, ქალაქ ერფურტში წავედი, 1890 წელს კი მუსიკალური განათლების გასაგრძელებლად უმცროს დასთან ერთად ოსლოში გადავედი. თავიდანვე აქტიურად ჩავები ქალაქის ბოჰემურ ცხოვრებაში. მწერალ იალმარ ქრისტენსენთან ხანმოკლე რომანტიკული ურთიერთობის შემდეგ დავუახლოვდა მხატვარ ედვარდ მუნკს, რომელიც 1892 წლის ბოლოს ბერლინში გადავიდა გამოფენის მოსაწყობად. მეც მალევე მივაშურე გერმანიის დედაქალაქს, სადაც მცირე დროით გატაცებული ვიყავი დრამატურგითა და მხატვრით ოგიუსტ სტრინდბერგით. გარკვეული პერიოდი ასევე დაახლოებული ვიყავი შვედ მწერალთან ადოლფ პაულთან. არაერთი სკანდინავიელი ხელოვანის შთაგონების წყარო გავხდი. იცოდით რომ მუნკის 1895 წლის ცნობილი ტილოში „ეჭვიანობა“ ვფიგურირებ?! ბერლინში აქტიურად ვმოღვაწეობდი, როგორც პიანისტი; ვატარებდი კონცერტებსა და გაკვეთილებს. ამასთანავე, ვწერდი ლექსებს, პიესებსა და მოთხრობებს. 1893 წლის 18 აგვისტოს ვიქორწინე პოლონელ მწერალ სტანისლავ პშიბიშევსკიზე და ორი შვილი შეგვეძინა: ზენონი და ივა. ივაზე მშობიარობას კინაღამ გადავყევი და მაშინ მივხვდი, თუ როგორ ძლიერ მიყვარდა ცხოვრება..... არა

მანამდეც ძალიან მიყვარდა, მაგრამ ივაზე მშობიარობის შემდეგ უფრო დავაფასე..... მივხვდი, რომ მარადიული არაფერია და მარადისობის მიღწევა მხოლოდ ჩემი ნაწერებით შემიძლია..... ისე ივას შემდეგ ნაკლებად ბობოქარი ცხოვრებით ვცხოვრობდი..... ყველა წინა მამაკაცი წარსულში დავტოვე.... ჩემი ქმრის გარდა..... თუმცა უეცრად ახალი შემოვიდა..... ის არც ერთ მათგანს არ ჰგავდა..... არც წერდა, არც ხატავდა, არც მუსიკას ქმნიდა..... გაგეცინებათ და მამამისს ჭიათურაში მანგანუმის საბადო ჰქონდა.... ბიზნესმენი იყო ბიჭი..... ახალგაზრდა, თავზეხელაღებული და სრულიად განსხვავებული ყველა იმ კაცისაგან ვინც აქამდე მყოლია.... ვლადისლავ ემერიკი.... ჰო შუაში ჰენრიკ სენკევიჩთანაც დავძვრებოდი, მაგრამ დიდი მოსაწყენი კაცი აღმოჩნდა.... ყოველთვის მელანქოლიური და ჩაფიქრებული..... ცოლებს იცვლიდა ისე როგორც იორიკი იცვლიდა ხელთათმანებს..... სულ დარდიანი და ნაღვლიანი დაიარებოდა რაღაც დიდი აღიარების მოლოდინში.... გავა წლები და მიიღებს თავის ჯილდოს.... ნობელის პრემიას ლიტერატურის დარგში.... მაგრამ ცხვირ-პირის გასწორებას მაინც ვერ ისწავლის (გაიცინებს) აი ემერიკი სულ სხვანაირი იყო.... ემერიკმა გართობა იცოდა.... და სწორედ მისი წყალობით ვარ ახლა ტიფლისში..... განსხვავებულ და გამორჩეულ ადგილას..... მაგრამ გინდათ ერთი საიდუმლო გაგანდოთ ?! არავის ეტყვით ხომ ?! ყველა იმ კაცს შორის ვისთანაც ურთიერთობა მქონია ემერიკი ყველაზე გიჟია..... რაღაც სიგიჟეს აპირებს..... არ ვიცი ზუსტად რას.... მაგრამ მეუბნება რომ ისეთ რამეს გააკეთებს, რაც საუკუნეების მანძილზე არ დაავიწყდებათ..... სტრინბერგზე გიჟია ეს ბიჭი... ოღონდ სხვანაირად გიჟი.....

(მიდის მაგიდასთან. იღებს ხელში წერილს. ხსნის კონვერტს და ხმამაღლა კითხულობს)

„მე გავაკეთე ის, რაც შენ უნდა გაგეკეთებინა. მან ყველაფერი იცოდა...“

(დებს წერილს და მაყურებლებისაკენ ტრიალდება)

გამოძიება ალბათ ტვინს გაიჭყლიტავს მარადიულად იმის სარკვევად თუ რა ვიცოდი მე.... ,,იმდენი ამოცანა და გამოცანა ჩავდე ჩემს ნაწარმოებებში, რომ მკვლევარები საუკუნეები მოუნდებიან მის გაშიფვრას, ეს კი ჩემი უკვდავების გარანტი იქნებაო'' თუ როგორ თქვა იმ ირლანდიელმა ციკლოპმა? ჰოდა ეგ იდეა იცოდით რომ ჩემგან აიღო ?! რა თქმა უნდა არა! მას ხომ ყველაფრის მოპარვა ეხერხებოდა.... ისევე როგორც მე....

(ამ დროს ოთახი გაჩახჩახდება)

ამქვეყნად ყოფნა სინათლეში ყოფნას ნიშნავს. სულერთია, სადაც იქნები, რაც იქნები უპირველეს ყოვლისა სინათლესა დ სიხარულის ერთგული უნდა იყო; უნდა გწამდეს, რომ ქრები ნარშავებზე, ასფალტსა და ზღვაზე აელვარებულ სინათლეში, უნდა გაუძლო დროს, უფრო სწორად, უნდა გწამდეს წამის მარადისობის. და საერთოდაც ცრემლის ღვრასა და სიცილს შორის ირწევა სიცოცხლის საქანელა. ცრემლის ღვრასა და სიცილს შორის დაქანაობს ადამიანი. ვინ იცის ეს შენზე უკეთ ჩემო ვლადისლავ?!

(ისმის გასროლის ხმა)

(სიბნელე)